KA030481621900019

№ 04-12817

16 / ივლისი / 2019 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს სსიპ-სოციალური მომსახურების
სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ლელა მამულაშვილს

თქვენი მიმდინარე წლის 1 მარტის № 04-3830 მოხსენებითი ბარათის პასუხად გიგზავნით ქ. ქუთაისში. შერვაშიძის ქ. #53-ში, ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე და ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. #7-ში ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში, 880 ბინისა და დანართის სახით წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დევნილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების
ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ბესარიონ სიმონიშვილი

KA030456132122519

№ 04-3830

01 / მარტი / 2019 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს სსიპ-სოციალური მომსახურების
სააგენტოს დირექტორის დროებით მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ თამაზ მოდებაძეს
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს სსიპ-სოციალური მომსახურების
სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
ლელა მამულაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო თამაზ,

წარმოგიდგენთ, დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის შესყიდული საცხოვრებელი სახლების შესახებ ინფორმაციას (იხ. დანართი #1 და #2). აღნიშნული საცხოვრებელი ფართები დღეის მდგომარეობით წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და ირიცხება სააგენტოს ბალანსზე. ასევე მოგახსენებთ, რომ დასრულდა ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. #53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.01.22.013) საცხოვრებელი კომპლექსის - მე-3 და მე-4 კორპუსების (ბინათა რაოდენობა - 160) მშენებლობის და გარე (ეზო) კეთილმოწყობის სამუშაოები; ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.45.27.134; ს/კ 66.45.27.135; ს/კ 66.45.27.136; ს/კ 66.45.27.137) საცხოვრებელი კომპლექსის (ოთხი ათსართულიანი კორპუსი, სულ 480 ბინა) მშენებლობისა და გარე (ეზო) კეთილმოწყობის სამუშაოები და ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. #7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 43.31.76.213; ს/კ 43.31.76.212) საცხოვრებელი კომპლექსის II ეტაპის (I, II, III, IV კორპუსი, სულ - 240 ბინა) სამშენებლო და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

გთხოვთ, დაავალოთ დევნილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტს მოგვაწოდოს ინფორმაცია ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. #53-ში, ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე და ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. #7-ში ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში, 880 ბინიდან და დანართის სახით წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართებიდან, რომელი საცხოვრებელი ფართი იქნა დაკანონებული და გადაცემული დევნილ ოჯახებზე, რათა სააგენტოს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს ასახვა.

დანართი: 62 (სამოცდაორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ლელა მამულაშვილი